**ხელშეკრულება № 64**

**სახელმწიფო შესყიდვის შესახებ**

ქ. თბილისი 28 ივლისი 2017 წ.

**ხელშეკრულების დამდები მხარეები**

ერთის მხრივ, ქურთის მუნიციპალიტეტი (შემდგომში - „შემსყიდველი“), წარმოდგენილი - გამგებლის ზვიად მინდიაშვილის სახით მეორეს მხრივ შ.პ.ს. “პროექტმშენი +“ (შემდგომში– “მიმწოდებელი“), წარმოდგენილი დირექტორის ვახტანგ თხელიძეს სახით სახით, რომელიც მოქმედებს საზოგადოების წესდების საფუძველზე, ერთობლიობაში მხარეებად წოდებულნი, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას საქართველოს კანონმდებლობს შესაბამისად შემდეგზე:

**1. ხელშეკრულების საგანი**

1.1 ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს საინჟინრო მომსახურებების (cpv- 71300000) შესყიდვა, კერძოდ, დუშეთის მუნიციპალიტეტის ბაზალეთის დევნილთა დასახლებაში არსებულ უძრავ ქონებაზე ( ს/კ: 71.56.18.337 ) არტეზიული ჭის მოსაწყობად, გეოლოგიური კვლევის (CPV- **71351730**) და გეოფიზიკური კვლევის (CPV – 71351710**)** ჩატარების შესყიდვა.

1.2. „მიმწოდებელი“, ჩატარებული კვლევის საფუძველზე მოამზადებს სახარჯთაღიცხვო დოკუმენტაციას.

1.3. ხელშეკრულებას თან ერთვის დანართი №1 (ტექნიკური დავალება).

**2. ხელშეკრულების ღირებულება და ანგარიშსწორების წესი**

2.1. გასაწევი მომსახურების საერთო ღირებულება შეადგენს 2360 (ორიათას სამას სამოცი) ლარს დღგ-ს ჩათვლით.

2.2. ანგარიშსწორების საფუძველია მხარეთა შორის გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტი ან/და მის საფუძველზე გამოწერილი შესაბამისი საგადასახადო ა/ფაქტურა ან სასაქონლო ზედნადები.

2.3 ანგარიშსწორება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორების წესით მიმწოდებლის მიერ მითითებულ საბანკო ანგარიშზე თანხის გადარიცხვის გზით, მომსახურების გაწევის შესახებ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში.

მუხლი 4. მომსახურების მიღების ადგილი და ვადა

4.1. მომსახურების მიღების ადგილია დუშეთის მუნიციპალიტეტის ბაზალეთის დევნილთ დასახლება.

4.2. მომსახურების ხელშეკრულებით განსაზღვრული სამუშაო უნდა შესრულდეს ხელშეკრულები დადებიდან არაუგვიანეს 10 (ათი) დღის განმავლობაში.

მუხლი 5. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

5.1. შემსყიდველი უფლებამოსილია:

ბ) ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება;

გ) გამოითხოვოს მიმწოდებლისაგან ხელშეკრულების პირობების შესრულებასთან დაკავშირებული დოკუმენტები;

5.2 მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

5.2.1 ხელშეკრულებით გათვალიწინებული გასაწევი მომსახურება - შეასრულოს საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის სრული დაცვით.

5.2.2. ხელშეკრულებით გათვალიწინებული გასაწევი მომსახურება განახორციელოს იმ წესით, პირობებით და დაწესებულ ვადებში, როგორც ეს შეთანხმებულია ამ ხარეებს შორის და გაუწიოს შემსყიდველს მისი მოთხოვნების შესაბამისად ხარისხიანი მომსახურება.

5.3. მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას შეასრულოს ხელშეკრულებით დაკისრებული ვალდებულებები;

ბ) ხარვეზის შემთხვევაში უზრუნველყოს უხარისხოდ შესრულებული მომსახურების გამოსწორება შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი ხარჯის გაწევის გარეშე;

გ) უზრუნველყოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევა ამ სფეროში მოქმედი წესების და სტანდარტების შესაბამისად.

დ) წარუდგინოს შემსყიდველს აკრედიტაციის მოწმობის დამოწმებული ასლი.

### მუხლი 6. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

6.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირებას განახორციელებს ქურთის მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისა და ტერიტორიის კეთილმოწყობის განყოფილების უფროსი.

6.2. ინსპექტირება გულისხმობს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულების, აგრეთვე მომსახურების ხარისხის შემოწმებას.

### მუხლი 7. პირგასამტეხლო

7.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0.1%-ის ოდენობით, ხოლო ვალდებულების ნაწილის შეუსრულებლობის შემთხვევაში - ვალდებულების შეუსრულებელი ნაწილის 0.1%-ის ოდენობით. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ნაწილის 0.1%-ის ოდენობით.

7.2. იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს საერთო ოდენობა გადააჭარბებს ხელშეკრულების საერთო ღირებულების 3 (სამ) პროცენტს, შემსყიდველი უფლებამოსილია შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისთვის გადასახდელი პირგასამტეხლოს და შეუსრულებლობით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

### მუხლი 8. ფორსმაჟორი

8.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია ფორსმაჟორით.

8.2. თუ ერთ-ერთი მხარე ფორსმაჟორის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს 3 კალენდარული დღისა, აცნობოს მეორე მხარეს ფორსმაჟორული გარემოების შექმნის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

8.3. მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება ფორსმაჟორის მოქმედების დასრულებისთანავე.

**მუხლი 9. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა**

9.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

9.2. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

9.3. ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს:

ა) მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე;

ბ) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

გ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

**მუხლი 10. დავები, მათი გადაწყვეტის წესი და გამოსაყენებელი სამართალი**

ხელშეკრულებიდან გამომდინარე ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმებით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

**11. ხელშეკრულების მოქმდების ვადა**

**11.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2017 წლის 15 სექტემბრის ჩათვლით.**

12. მხარეთა რეკვიზიტები

| | |
|---|---|
| ქურთის მუნიციპალიტეტის გამგეობა | შ.პ.ს. "პროექტმშენი +" |
| ფაქტობრივი მისამართი: | ფაქტობრივი მისამართი: |
| მის:თბილისი, დ.აღმაშენებლის 89/24 | ქ. თბილისის,გლდანი-ნაძალადევის რ-ნ,ავჭალა-1,N 25 |
| საიდენტ.კოდი:218065064 | საიდენტ.კოდ:400145204 |
| ქ.თბილისი, „სახელმწიფო ხაზინა" | "თი ბი სი" ბანკი |
| ხაზინის ერთიანი ანგარიში: | ბანკის კოდი: TBCBGE22 |
| ა/ა GE24NB0330100200165022,მფო:TRESGE22 | ანგ.ნომერი: ა/ა GE69TB7297136080100002 |

| | |
|---|---|
| **ქურთის მუნიციპალიტეტი** | **შპს „პროექტმშენი+"** |
| **გამგებელი: ზვიადი მინდიაშვილი** | **დირექტორი: ვახტანგ თხელიძე** |